# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 28 შაბათი, 6 თებერვალი 1910 წ. № 28

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible], საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთი [illegible] თვით [illegible] მოთხრობები. პირადად [illegible] შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 [illegible] დღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, [illegible] № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


მოულოდნელ მწუხარებით თავზარდაცემული ქუთაისის საქარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზდელთა კორპორაცია აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას უდროოდ გარდაცვალებას თავის დაუვიწყარ და უძვირფასეს ამხანაგის ამა სასწავლებლის ინსპექტორის

### მელიტონ იესეს ძის ჩიგოგაძისას

პანაშვიდი ყოველდღე 12 და 6 საათზე, პეტრე-პავლეს ქუჩა, სახლი კიკნაძისა. გამოსვენება ცხედრისა საქარქიო სასწავლებლის ეკლესიიდან კვირას, 7 თებერვალს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ სოფელ ბანოჯაში. (3—კვ.—3)

მეუღლე ალექსანდრა ჯულელი, შვილები—მარგარიტა, ნორა, სონა და ვალენტინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

### სევერიანე მოსეს ძე ჯულელის

სულის მოსახსენებლად. (2—2)


წარმოდგენა № 33. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 33.

კვირას, 7 თებერვალს 1910 წელს

## ბენეფისი მაროს მდივანისა

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ ქ-ნ ნ. კოლხიდელის, ნ. გამყრელიძის და ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

I.

პირველად შელომ აშის პიესა

## „შურის ძიების ღმერთი"

დრამა 3 მოქმედებად თარგ. გრ. აბაკელიასი.

II.

ივ. გომართელის ახალი პიესა.

## დრამატიული გამგეობის წევრი

კომ.-ვოდ. 2 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოს. „ძია ვანო", „ნამუსისათვის", „დანაშაული და სასჯელი".

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. რეჟის. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 6 თებერვალს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ კ. ნ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

| I. | II. |
|---|---|
| **გაცრუებული იმედები** | **პარიზელი ბიჭი** |
| კომ. 2 მოქმედებად აზიანისა. | პიესა ორ მოქმ. თარგ. დ. ერისთავისა. |

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ბარათაშვილი, ნებიერიძე, ქიქოძე, ციმაკურიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი, მეტრეველი, ნარი და პეპანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „იმედის დაღუპვა", „უდანაშაულოდ დასჯილნი" კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, „ბ ძია ვანო" ა. ჩეხოვისა და სხვა.

რეჟის. კ. შათირიშვილი. ადმინისტრატორი ლ. ვახვახიშვილი.

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (30—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხიზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—102)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. ბ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^{1/2}$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ‍2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—264)



## კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთის"

გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ 18 თებერვალს 1910 წ. დანიშნულია ქ. თელავში **მეორე წლიური საზოგადო კრება**, რომელმაც უნდა განიხილოს:

1. 1908—1909 წლის ანგარიში.
2. 1909—1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მოქმედების გეგმა.
3. მოხსენება საქმის გამგებლობის ცვლილების შესახებ.
4. განხილვა გამგეთათვის სახელმძღვანელოდ შედგენილ ინსტრუქციისა,
5. განხილვა სესხის აღების პირობებისა,
6. გამგეობის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის სამი წევრის არჩევა.
7. მორიგი საქმეები.

(3—ნ.—3)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის დ. ხ. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

### სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიწრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—100)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—25)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კორპიჩნაია). (0—52

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი

ქუთაისში, მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—10)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—18)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი

ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—15)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის მეხაზევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—6

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—360)

**ექიმი** გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—89)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—93)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—109)

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—9)

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** უკვე გამოირკვა, თუ აბეშეს ახლო რამდენი ფრანგი მოჰკლეს ადგილობრივ მკვიდრთ. მოკლულია: ერთი კაპიტანი, 2 ლეიტენანტი, ერთი სერჟანტი და 101 ჯარისკაცი.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: არევეზაში, საბერძნეთის საზღვარზედ გაგზავნეს გემი „სელანიკი". გემით წავიდა საპიორთა ერთი ბატალიონი და სტამბოლის ყოფილ გარნიზონის ქვეითა ჯარი. ჯარმა თან წაიღო ექვსი ციხის ზარბაზანი.

**ათინა.** დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს მინისტრად ნამყოფი ტზამადოსი.

**კილი.** ჩრდილოეთის ზღვაში ერთმანეთს დაეჯახნენ გემები „კენისბერგი" და „დრეზდენი". გემები ძალიან მცირედ დაზიანდნენ.

**ათინა.** ათინის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომ ფლოტი ძალიან ცუდის თვალით უყურებდეს ხმელეთის ჯარის მოქმედებას და განზრახვა ჰქონდეს ყუმბარა დაუშინონ პირეის. სააგენტო რჩევას იძლევა, რომ ასეთ ხმებს ყურადღება არ მიაქციონ.

**ვენა.** იმპერატორმა დაამტკიცა ბოსნია ჰერცოგოვინას კონსტიტუციის შესახებ კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი ეხება საარჩევნო უფლებას, სეიმს, კავშირებს და საზოგადოების კრებებს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, საფრანგეთის პარლამენტის დელეგატებს ნადიმი აღარ გაუმართოს და ამის მაგიერად 30,000 ფრანკი პარიზში დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდონ.

**ტაგანროგი.** შენფელდის მაღაროებში კედელი ჩამოინგრა. მოკვდა ორი მუშა.

**არხანგელსკი.** თეთრი ზღვის საზღვაო კანცელარიის უფროსის პოლკოვნიკ ლემიაკოვის მოსამსახურემ ზურგში დასჭრა ლემიაკოვი. მოსამსახურეს 500 მანეთის გატაცება უნდოდა. ბოროტგანმზრახველი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** იმპერატორმა დაამტკიცა ვლადივოსტოკის სამხედრო-საზღვაო სასამართლოს განაჩენი ნაღმოსან „ბოდრის" უფროსის მაიდელიუს და ლეიტენანტ ნეუპოკოევის შესახებ. ნაღმოსანი „ბოდრი" კლდეს დაეჯახა, რისთვისაც სასამართლომ მაიდელიუს შენიშვნა მისცა, ხოლო ნეუპოკოევი გაამართლა.

სამხედრო-საზღვაო სასამართლომ გაარჩია კრონშტადტის ნავთსადგურის პოდპორუჩიკის სემიონოვის საქმე. ბრალდებოდა სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა. სასამართლომ სემიონოვს სამსახურიდან დათხოვნა მიუსაჯა.

**რეველი.** სამოსამართლო პალატამ ქალაქის თავის ამხანაგად და გაზეთ „ცეატ პიატ" რედაქტორად ნამყოფს ერთი წლით ციხე მიუსაჯა.

**ხარკოვი.** გამოირკვა იმათი ვინაობა, რომლებმაც სახელმწიფო ბანკის კანტორიდან ყალბის დოკუმენტებით 92,300 მანეთი გაიტანეს. ერთმა ბოროტგანმზრახველმა თავი მოიკლა, მეორე მიიმალა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჟურნალი „მოსავალი" თებერვლის ნომერში საყურადღებოდ ახასიათებს 1909 წლის მინდვრის მოსავალს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. გასახარელი არ არის ეს სურათი, მაგრამ მაინც საჭიროა ვიცოდეთ ყველაფერი—ავიცა და კარგიც, რომ ჩვენი ქვეყნის აწინდელ მდგომარეობის სწორე წარმოდგენა შეგვეძლოს. აი, ამიტომ დიდად სასურველია, ვინც დაბა-სოფლებში სცხოვრობს და შეუძლიან სოფლის გარემოების შესახებ ცნობების მოწოდება, არ დაიზაროს და გამოუგზავნოს ხოლმე ჟურნალს ეს ცნობები თავ-თავის დროზე, რათა კვლავაც შეიძლებოდეს ყველა მაზრის მდგომარეობის უფრო სრული დასურათება.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჟურნალში დაბეჭდილი როგორც ცალკე წერილები, ისე „საყურადღებო ცნობების" სათაურით მოთავსებული ცნობები მეურნეობის შესახებ პრაქტიკულად გამოსაყენებელია და საკითხავადაც სახალისოა.

## სავაჭრო-სესხის ბანკის საჭიროების გამო

ალმანახ „მოამბის" 31 იანვრის ნომერში ბ-ნი ნიკო თავდგირიძე ეხება მეტად საინტერესო საგანს—საურთიერთო ნდობის პრინციპზე დაფუძნებულ ბანკის საჭიროებას, რომელსაც ამიერ-კავკასიისათვის და კერძოდ საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება. ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენში თითქმის არ არსებობს, სოფლის მეურნეობა განიცდის აუტანელ გაჭირვებას იმ საერთო მიზეზისა გამო, რომ არც ერთ ჩამოთვლილ დარგს არ მოეპოვება ძალის მიმცემი, სულის ჩამდგმელი იაფ-ფასიანი და ადვილად საშოვარი კრედიტი, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში უმთავრეს ღერძს შეადგენს.

ვაჭრობა-მრეწველობის, თანაც როგორც ამის შედეგის—კულტურის მაჩვენებელი რიგიანად მოწყობილი კრედიტია, ურომლისოდაც ქვეყანა უდაბნოს მოგვაგონებს, ნიადაგით მდიდარს, მაგრამ მშრალს, უნაყოფოს, სადაც ფერმიხდილი მცენარე უფრო მეტს ძალას ძირის გაზრდას ანდომებს, რომ მიწის სიღრმეში მოიპოვოს ძნელად საშოვარი მასაზრდოებელი წვენი.

განა ჩვენი მშრომელი ხალხი, სოფლის მეურნენი თუ ქალაქის წვრილი ვაჭარ-მრეწველნი იმავე გაჭირვებას არ განიცდიან უსახსრობისა გამო? ვინ არ იცის, რომ მათი შრომის ნაყოფის უდიდესი ნაწილი ჩარჩმოვახშეების ხელში გადადის. მშრომელი იძულებულია, თავისი ნაწარმოები ჩალის ფასად გადაჰყაროს, რადგან აუცილებელ ხარჯების გასასტუმრებლად ან სულ ვერ შოულობს სესხს ან თუ შოულობს დიდის გაჭირვებით, იმასაც მამა-სისხლად, ხშირად 20—100 პროცენტად.

ასეთ პირობებში ჩვენი ვაჭარმრეწველი, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევს მეტოქეობას თავის მეზობელს, რომელსაც ხელთა აქვს იაფი კრედიტი და ამის გამო საშუალება ეძლევა თანაბარი საქონელი შედარებით იაფად გაჰყიდოს, სხვას ვაჭრობა მოუჭრას, თითონ გააჩაღოს, თანხა რამდენჯერმე დაატრიალოს და რამდენსამე წელიწადში საკუთრება შეიძინოს. **კრედიტის უქონლობა სხვათა შორის ერთი უმთავრესი მიზეზია ჩვენი ხალხის ეკონომიურად უკან ჩამორჩენისა.** მაშ რით, თუ არ ნახსენებ მიზეზით, აიხსნება ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი, მხნე და გამჭრიახნი, ჯერაც ვერ გასცილებიან წვრილ ვაჭრობა-მრეწველობას, არ შეუქმნიათ ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო საქმე. მოუპოვეთ მათ კრედიტი და 10—15 წლის განმავლობაში ნახეთ, რის შემძლენი ყოფილან ისინი. დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ (და ამის უტყუარი ნიშნებიც არის), რომ ამიერ კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში მათ დიდი მომავალი ეკუთვნით, მათვე უნდა აიყოლიონ ამერეთის ქართველობა და უწინამძღვრონ საქართველოს ეკონომიურად აღორძინებაში...

თვით ტერიტორიის საკითხი იგივე კრედიტის საკითხია. მიწის მობილიზაციის სათავე უნდა ვეძიოთ იმ ხანაში, როდესაც პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებულ საქართველოში ტერიტორიის ხმლით დაცვა საჭირო აღარ იყო და ისტორიულად მხოლოდ ამ საშუალებას შეჩვეული ჩვენი ბრწყინვალე წოდება სხვა დროის შესაფერ საშუალებას ვერ შეეგუა, დავალიანებული მამული უპატრონოდ დასტოვა, ფიცა გამოულია, აამოძრავა.

იმავე მოვლენას რუსეთშიაც ვხედავთ, ხოლო აქ, ჩვენში, მობილიზაციამ მიწისამ უკუღმართი, ჩვენი ხალხის ბოგანოდ გადამქცევი მიმართულება მიიღო, რომელსაც ასე ხელი შეუწყო უკანასკნელმა მოძრაობამ. ამოძრავებული მამული ბაზარში გამოტანილი საქონელია, რომელიც იქითკენ მიილტვის, სადაც მეტი ფასის გამღები ეგულება. ამ პროცესში სხვა გვარ მოსაზრებას, როგორც ტერიტორიის მთლიანობაზე ზრუნვას, სამშობლოს კეთილდღეობას, იმდენად ადგილი ეთმობა, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება ეკონომიურ მხარეს. მემამულე, თუ მას რამდენიმე თანასწორ ფასის მძლეველი გამოუჩნდა, თავისიანს აირჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირატესობას მას აძლევს, ვინც მეტ სასყიდელს გაიღებს—ეს მარტივი ჭეშმარიტებაა ყოველ გვარ ალებ-მიცემობისა. განსაკუთრებულის სამშობლოს სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული მემამულე,

რომ მან თავისი მარჩენალი მამული, გაჭირვების მიზეზით გასასყიდად გამზადებული, უფრო შეღავათიან ფასად თავისიანს დაუთმოს, და თუ ჩვენში შიგა და შიგ შეჰხვდებით ამისთანა, მაგალითს, ეს იმით აიხსნება, რომ ის აფასებს თავისიანის მეზობლობას, მასთან ჯერ კიდევ განუწყვეტელ კავშირს, ვიდრე უცხოელ მსყიდველის ჩათესლებას, რომელთანაც წარსულში მას არაფერი საერთო არა ჰქონია და მომავალშიაც ვერა-რას გამოელის.

ამ მხრივ, ტერრიტორიის საკითხში ჩვენებურ მსყიდველს უპირატესობა ეძლევა თავისთავად, და თუ ის სხვებს მეტოქეობას ვერ უწევს, ხელშემწყობ პირობების უქონლობით აიხსნება, უმთავრესად—კრედიტის მოუწყობლობით. რა ჰქმნას არსებულმა ტფილისში საადგილ მამულო კომისიამ, მხოლოდ სახელ ლებულმა, უსაღსროდ დატოვებულმა? სხვა წვრილმან ხარჯს რომ თავი დავანებოთ, საგლეხო ბანკის საშუალებით მამულის შეძენაში აუცილებლად საჭიროა მოკლე ვადიანი სესხი მაინც იმ ზედ-მეტ ხარჯის დასაფარავად, რომელიც მამულის დირებულობისა და მაზე გაცემულ საობლიგაციო ვალის შორის განსხვავებას შეადგენს. ამ შედარებით მცირე საშუალებას მოკლებული კომისია გულხელ დაკრეფილი მწარედ შეჰყურებს ჩვენი ცხოვრების უკულმართ სინამდვილეს და არა იშვიათად ისმენს საყვედურს უმოქმედობისათვის. მიეცით მას საბრუნი თანხა და საქმეც ისე მოსთხოვეთ, თორემ ცარიელი საყვედურით სად რა გაკეთებულა!

საზოგადო მოუწყობლობის გამო, ჩვენი კაცი, სოფლის მეურნეა იგი, ვაჭარ მრეწველი თუ მამულის მსყიდველი, საითაც გაიქცევა, იქით წაიქცევა. ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენი ქვეყნის საერთო სენია და, როგორც საზოგადო მოვლენას, საერთო დახმარება სჭირია.

**ეგნატე ხრიმლაშვილი.**

(დასასრული იქნება)

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: რატგაუზის ლექსები, თარგ. შანშიაშვილისა; „მთები“, დთროშევიჩისა, თარგ. ახელისა; სურათები: „დოლერეია“, სურათი ბოდენშაუზენისა; პირველი მსახიობი ქართულ სცენისა ბარბარე ავალიშვილისა, ქართველი მაჰმადიანები—დეპუტატი ჰასან-ფეჰმი ირემაძე და ქამილ დარბაიძე.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საბავშვო დღესასწაული.** როგორც ვიცით, წელს შესრულდა 20 წელიწადი, რაც საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ არსებობს და რაც მას ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა რედაქტორობს. ამის სახსოვრად კვირას, 14 თებერვალს, ქართულ თეატრში იმართება საბავშვო დღესასწაული.

✦ **სამღვდელოების კრება.** ტფ. პატრიოტულ საზოგადოების თავმჯდომარემ დეკანოზმა გოროდცოვმა პატრიოტულ საზოგადოების საკრებულო დარბაზში 4 თებერვალს გამართა ტფილისის სამღვდელოების კრება. კრებას დაესწრო ეპისკოპოსი გრიგოლი, სიონის საკათედრო ტაძრის კრებული, სასულიერო სემინარიის რექტორი მასწავლებლებითურთ, ქვაშვეთისა, წმ. ნიკოლოზისა, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიისა, კალოუბნისა და სხვა ეკლესიების მღვდლები, მისიონერები და სხვანი. შეიკრიბა 60 კაცამდე. როდესაც შეიკრიბნენ მივიდა ექსარხოსიც, რომლის მიგებების შემდეგ დეკანოზმა გოროდცევმა გახსნა კრება. მღ. გოროდცოვმა სთქვა: სარწმუნოება დაეცა კავკასიის მართლმადიდებელ მცხოვრებთა შორის. როგორც რუსები, ისე, უმეტესად ქართველები ნელ ნელა გადადიან ბაპტისტებისა, სომეხ-გრიგორიანებისა და კათოლიკეთა სარწმუნოებაში. ასეთ არა სასიამოვნო მოვლენას უნდა ანგარიში გაუწიოთ და ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ არა თუ დავკარგოთ სამწყსოს წევრნი, არამედ ახლები შევიძინოთ სხვა სარწმუნოებიდან. ქართველთა შორის სარწმუნოება ისე ეცემა, რომ ფშავ-ხევსურებს შორის ზოგნი მაჰმადიანობას იღებენო. საინტერესო თემა ჰქონდათ ქართველ მღვდლებს, მაგრამ არაფერი სთქვეს. მათ შეეძლოთ, მაგალითად, აეხსნათ და განემარტათ, სად არის სათავე ქართველ ხალხის სარწმუნოებრივ დაქვეითების- დამსწრეთაგან ზოგმა რა სთქვა და ზოგმა რა. ექსარხოსმა სიტყვა წარმოსთქვა და გაიმეორა, რომ სამღვდელოება უნდა მორწმუნე იყოს და მაღალ ზნეობისა; მაშინ შევძლებთ ქრისტეს სარწმუნოების განვითარებასაო. რომ მართლმადიდებლობა დაცულ იქნეს, უნდა ხალხში გავავრცელოთ სარწმუნოების შინაარსიანი წიგნაკები. ამისათვის ქალაქისა თუ სოფლის ტაძრების მნათეთ უნდა დაურიგდეთ დაბეჭდილი ფურცლები და პატარა წიგნაკები ლოცვებით. როდესაც ხალხი სანთელს ყიდულობს, მნათენი მუქთად დაურიგებენ ამ ფურცელ-წიგნაკებს. ამ გზით შეიძლება შევაჩეროთ შერყეული სარწმუნოებაო. ზოგმა სხვა საშუალებაც დაასახელა. სთქვეს ისიც, რომ მისიონერები არაფერს არ აკეთებენო. ასეთს ორატორებს მ. გოროდცოვმა (თითონაც მისიონერია) ის უპასუხა მხოლოდ, რომ რა ვქნათ, ბევრი დრო არა გვრჩება სამისიონერო საქმეებისათვისაო. ამ საკითხზე მხოლოდ ორმა ქართველმა მღვდელმა ამოიღო ხმა. ერთმა განაცხადა, რომ ქართველთა შორის სარწმუნოების დაქვეითების ღრმა მიზეზები უნდა სხვაგან გამოვნახოთ. აქა სთქვეს, რომ ფშავ-ხევსურეთში თითქმის ორი სოფელი გამაჰმადიანდაო. სამწუხარო ფაქტია. ქრისტეს მაღალმა მცნებებმა ქართველ ხალხში ისე ღრმად გაიდგეს ფესვები, რომ ვერავითარმა ქარტეხილმა, ვერავითარმა ძალამ 17 საუკუნის განმავლობაში ვერ შეარყია. ფშავ-ხევსურები ხორცს ამოიჭრიდნენ ხოლმე ჯვარის მსგავსად, რომ მით ყველასათვის სარწმუნოებრივი სიმტკიცე დაენახვებინათ. დღეს კი ხევსურები მაჰმადიანობას ეტანებიან. ესაიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ქისტები უმიწა-წყლობით გატანჯულ ქართველებს ჰპირდებიან ადგილ-მამულს, თუ ისინი მაჰმადიანობას მიიღებენ. მეორე: სკოლებში სწავლა-აღზრდა უკულმართად არის მოწყობილი. ვერ ნახავთ ვერც ერთს ყმაწვილს, რომ პუშკინის ქუჩაზე სემინარიის ყოფილი შენობა არ ეზიზღებოდეს. მიზეზი ის სისტემაა სწავლა-განათლებისა, რომელიც იქ არის მიღებული. გარდა ამისა, სამღვთო სჯულის სწავლება სამინისტრო სკოლებში შეამცირეს. აქამდე სამრევლო სკოლებში ქართველ ბავშვებს გაუგებარ სლავიანურ ენაზე ასწავლიდნენ ლოცვებსა და სხვას და, რა თქმა უნდა, ასეთ რამეს შედეგად მოჰყვება ის, რაც ამ ჟამად ჩვენთვის სამწუხაროაო. ექსარხოსმა სთქვა: საგანს გადავსცდითო. ჩემის აზრით, უმჯობესია ისევ იმაზე ვიკამათოთ, თუ რა ღონისძიებით შეგვეძლება დავიფაროთ მართლმადიდებლობაო. ამის შემდეგ ექსარხოსი წავიდა. მღ. გოროდცევმა შემდეგ ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ წმ. ნინოს სასაფლაოზე ქრისტიანებს ხშირად ღვინო მიაქვთ და იქ ლოთობენო, წმ. ნინოს სასაფლაოს მღვდლებმა დაუმტკიცეს, რომ არავითარი ლოთობა სასაფლაოზე არ არისო. წელიწადში ორი დღეა, როცა ხალხს ჩვეულებისამებრ თითო ბოთლი ღვინო მოაქვს და შესანდობარს ასმევენ შემთხვევით გამვლელებსაო. და სხვა ასეთ წვრილმან საქმეებს შეეხენ, მაგრამ არა დაუდგენიათ-რა.

✦ **სასწავლებლები გურიაში.** ლანჩხუთის მცხოვრებლებმა სთხოვეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დაეარსებინათ მარიამის საქალებო სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით და საოჯახო განყოფილებით. შარშან სამოსწავლო ოლქის მზრუნველი თითონ იყო ლანჩხუთში იქაურ სკოლების დასათვალიერებლად. ლანჩხუთის საზოგადოებამ აირჩია დეპუტაცია, რომელიც ბ-ნ ტ. ართმელაძის მეთაურობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარუდგა მზრუნველს და სთხოვა დახმარება ერთდროული და მუდმივი. მზრუნველსავე წარუდგა დეპუტაცია სოფელ ქვიანიდან. ითხოვეს ნიგოითში გაეხსნათ აბრეშუმისა და შალეულობის საქსოვი განყოფილება, ხოლო ქვიანში ახალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი. მზრუნველმა თანაგრძნობით მიიღო დეპუტაცია და აღუთქვა დახმარება. ს. ნიგოითმა მიიღო 2000 მანეთი, ხოლო ლანჩხუთმა—3000 მ. აგრეთვე მზრუნველმა მოითხოვა ლანჩხუთის საზოგადოებისაგან განაჩენი. ეხლა თვით სოფელზეა დამოკიდებული, თუ მალე წარადგენს განაჩენს სკოლის დაარსების შესახებ, მზრუნველი ნებას დართავს და ლანჩხუთში დაარსდება ქალთა სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსითა და საოჯახო განყოფილებით.

✦ **გაფიცვის გათავება.** როგორც ვწერდით, ბაქოში ამ რამდენიმე ხნის წინად გაიფიცნენ ტერ-აკოფოვის ფირმის მუშები. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, გაფიცული მუშები უკვე შესდგომიან მუშაობას. მათ უარი უთქვამთ თავიანთ მოთხოვნაზე.

✦ **კავკასიის საექიმო ნაწილის უფროსი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: პეტერბურგის გუბერნიის საექიმო ინსპექტორი კოხნერი დაინიშნა კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო ნაწილის უფროსადაო.

✦ **მ. ჩოგოვაძის გარდაცვალების გამო.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ჩვენ, ტფ. სასულიერო სემინარიის იმერელი მოწაფენი, ვგლოვობთ ყოფილ ძვირფას მასწავლებლის და აღმზრდელის მელიტონ იესეს ძე ჩოგოვაძის უდროვოდ გარდაცვალებას. უერთებთ ჩვენ გულითად მწუხარებას მისი დაკარგვით შეწუხებულს ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობას. სას. სემინარიის იმერელ მოწაფეთა მინდობილებით. ვანო კანდელაკი“.

✦ **„ნაკადულის“ გამოწერა.** რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ქართველ მუშათა ერთმა პატარა წრემ განსვენებულ მარიამ ივანეს ასულ დემურიას სახელობაზე გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ თიანეთის მაზრის სოფ. ჩარგლის სკოლას, მთელის წლით.

✦ **გუკასოვი და უსახელო საზოგადოება.** ხუთ იანვრის უბედურების დროს ვერის დაღმართზე დაღუპულ გუკასოვის ქირისუფლებს უსახელო საზოგადოება აძლევს თურმე 9000 მანეთს.

✦ **ფრანგული ენის გავრცელება.** ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორის ბ-ნ დრბოგლავის მეთაურობით ტფილისში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ფრანგულ ენის გავრცელება. ენის შესწავლის მსურველები უნდა ჩაეწერნენ წევრებად ამ საზოგადოებაში და საწევრო ფულად შეიტანონ 3 მან. საზოგადოების თავმჯდომარე ამ ამბავს ატყობინებს ტფ. ქალაქის გამგეობას და სთხოვს, რადგან ჩვენს საზოგადოებას კომერციული ხასიათი არა აქვს, ნება მოგვეცით ქალაქის სკოლებში საღამოობით კურსები გავმართოთო.

✦ **„ნაკადული“.** ყოველ თვიურ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია განაგრძობს ჟურნალის გამოცემას. რედაქციამ ჟურნალის რედაქტორად წარადგინა ნინო ნაკაშიძე.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის გამგეობამ დადგინა, 8 თებერვალს საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მოხსენება ქალაქში ეტლის ნიხრის დაკლების შესახებ. გამგეობის დადგენილებით, ქალაქში მიმოსვლის უდიდეს ფასად უნდა დაინიშნოს 40 კაპ. საათში 80 კაპ.

✦ **სასულიერო ჟურნალი.** საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით, გადაწყვეტილია განაახლონ „ვესტნიკ გრუზინსკ. ეგზარხატა“ გამოცემა. ყოველ კრებულს დაეკისრება ჟურნალის გამოწერა. ექსარხოს უკვე დაუბარებია ბ-ნი ნატროშვილი, მღვ. პუბლაძე, გამრეკელი და სხვანი.

✦ **მშობელთა წრე.** ტფ. ქართულ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოსთან განზრახულია დაარსონ მშობელთა წრე. ამიტომ საპედაგოგიო საბჭო სცდილობს ახლო მომავალში მოიწვიოს მშობლების კრება.

✦ **იჯარით ადგილები.** რკინის გზის სამმართველომ სთხოვა ამას წინად ტფ. ქალაქის გამგეობას, ნავთლუღის მახლობლად მოხელეთათვის სამოსახლო ადგილები დაგვითმეთ იჯარითაო. გამგეობამ შეატყობინა რკინის გზის სამართველოს, ნავთლუღში სადგურის მახლობლად უკვე დაგეგმილია ქალაქის ადგილები და მოხელეთ შეუძლიანთ იჯარით აიღონო.

✦ **ჟურნალისტთა კრება.** კვირას, 7 იანვრისთვის, ტფ. საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრება განიხილავს მირზოევ-ყიფიან-ნაგურსკის საქმეს.

# ჩვენი თეატრის მატიანიდან

(შემდეგი *)

რაკი ამ მდგომარეობამდის მივიდა ჩვენი საქმე, უფრო მეტი ძალა ვიგრძენით და საქმეც უფრო იმედიანად და გაბედულად განვაგრძეთ. აქამდის რომ კლუბებსა და კერძო სცენებზედ ვმართავდით წარმოდგენებს, ეხლა სახელმწიფო თეატრშიაც გავბედეთ წარმოდგენები. ეს თეატრი საინჟინერო ბაღში იყო, ეგრედ წოდებული საზაფხულო, სადაც, თამამშოვის ქარვასლაში თეატრის დაწვის შემდეგ, რუსული ოპერა და დრამა ბინადრობდა. აქამდის რომ გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესებს ვთამაშობდით, ეხლა სუნდუკიანცისა, მოლიერისა და შექსპირის ზოგი პიესის თამაშობასაც ვკისრულობდით. აქამდის რომ ჩვენი წრის წევრები და მუდმივი დამხმარენი ასრულებდნენ როლებს, ეხლა როლების ასრულება აღარავის ეხამუხებოდა, და, ასე გასინჯეთ, ერთ-ორ წარმოდგენაზედ თვითონ აკაკისა და პეტრე უმიკაშვილსაც ვაკისრებინეთ როლი: აკაკის სკაპენის ცუღლუტობაში და უმიკაშვილს—ამ პიესაში და ცოლის შერთვევინებაში (მარფურიოსისა). წარმოდგენებზე დამსწრე საზოგადოებაც თანდათან მატულობდა და წარმოდგენებს, ორთა შუა ანგარიშით, ცოტა რამ ძირსაც რჩებოდა ხოლმე. ბევრიც დაგვრჩებოდა, რომ საჯარო წარმოდგენების მეტი ნაწილი საქველ-მოქმედო არა ყოფილიყო და იმის შემოსავალიც ჩვენ დაგვრჩენოდა. [17])

ესე 1877 წლამდის მივიყვანეთ საქმე, და მისი იმ ჟამადი მდგომარეობა გვამცნებდა, რომ მისთვის ეხლა ახალი მიმართულება, ახალი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო, ახალი წესრიგი, უფრო რთული ორგანიზაცია; ხოლო ამისთვის კი—ახალი ძალა, ახალი უფრო გავლენიანი მომქმედნი და მოსაქმენი. ნათქვამია: ასპარეზი იყოს, თორემ მოასპარეზენი გამოჩნდებიანო. ჩვენი თეატრის საქმეც ამის მკაფიო გამომხატველია.

დიაღ, ასპარეზი მომზადებული იყო, და აი ამ მომზადებულ ასპარეზზედ რომ ახალი მომქმედნი გამოგვეწვია, ჩვენმა „წრემ“, რომელიც აქამდის საქმეს ყველა წევრის თანაბარი უფლება-მონაწილეობით აკეთებდა და რომელშიაც თითქმის არა სჩანდა ვინ იყო მისი გამგე-მეთაური, ეხლა საჭიროდ დაინახა ესეთი გამგე-მეთაური გაეჩინა, და როგორც თავის წევრთაგან, ისე გარეშეთანაც „კომიტეტი“ აერჩია საქმის საწარმოებლად. აქამდის რომ მთელი თავის ყურადღება წარმოდგენების რაც შეიძლება ხშირად და შეუჩერებლად მართვაზე ჰქონდა მიპყრობილი, ეხლა დაინახა, რომ ამ მის მოქმედებამ იქამდის მიიყვანა საქმე, როდესაც შეიძლებოდა უფრო მეტი გაკეთებულიყო, და მით მისგან აღებული მიზანი—სამუდამო ქართულ თეატრის დაფუძნება—უფრო დაახლოვებულიყო. ამისთვის კი საჭიროდ სცნა, საზოგადოებიდან გავლენიანი პირები მოეზიდნა და მათი მეოხებით საქმე ფართო გზაზედ დაეყენებინა. 1869 წ. არჩეული „კომიტეტი“ თუმცა ჯერაც არსებობდა, მაგრამ იმ კომიტეტის დახმარებით პირველ ხანებში ჩვენმა წრემ ორიოდე წარმოდგენა გამართა და შემდეგში მისი მოქმედება აღარა სჩანდა; ეს იყო მხოლოდ, რომ მე, იმ კომიტეტის ერთ წევრს, მუდმივი მონაწილეობა მქონდა თეატრის საქმეში, ხოლო მეორე მისი წევრი, ბ-ნი ანტონ ფურცელაძე ხშირად დახმარებას გვიწევდა ხოლმე. ესე რომ საკუთრად იმ „კომიტეტს“, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, თავის დროის მნიშვნელობა ჰქონდა, და იმაზე მეტსაც აღარა ვთხოვდით.

ამ ხანებში (1876 თუ 1877 წ.) რუსეთიდან ახლად ჩამოსული თავ. გ. თუმანიშვილი გავიცან. ამან გამომიცხადა თეატრის საქმეებში მონაწილეობის სურვილი და მთხოვა, ჩვენი წრისთვის წარმედგინა იგი. [18])

ზემო ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, თუ რა სიამოვნებით მიიღო იგი ჩვენმა წრემ. მაშინ განზრახული „კომიტეტიც“ დავაარსეთ და ამ კომიტეტში ჩვენი წრის მოყვარულთაგან არჩეულ იქმნენ: ეს ახლად შემოსული თ. გ. თუმანიშვილი, იოსებ ბაქრაძე და მე; ხოლო გარეშეთაგან ამ კომიტეტში მონაწილეობის მიღება ვთხოვეთ: გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილს თ. ილია ჭავჭავაძეს და შემდეგში (1878 წ.) გიორგი ქართველიშვილს. ამ სამი პირის კომიტეტში მონაწილეობის მიღებით თეატრის საქმისთვის დიდს სარგებლობას მოველოდებით. იმედი გვქონდა, იმათი დახმარებით ქართულ თეატრს ნივთიერ სახსარს გაუჩენდით და მით ჩვენთვის სასურველ მდგომარეობამდის მივიყვანდით. ამ იმედს გულში ის გვიღვივებდა, რომ მამაცაშვილი იმ დროში დიდ გავლენიან პირად ითვლებოდა, ილია ჭავჭავაძის გავლენიანობას ხომ ეჭვი არა ჰქონდა და მასთანაც საადგილ-მამულო ბანკის გამგეც იყო,—იმ დაწესებულებისა, საიდგანაც დახმარების იმედი გვქონდა, ხოლო გ. ქართველიშვილი იმ დროის უმდიდრესი ქართველი იყო და ქართული საქმეებისადმი გულმტკივნეულობასაც იჩენდა [19])

აბა, ამისთანა პირებისაგან, როგორ არ უნდა გვქონოდა საერთო საქმისთვის ხელის შეწყობის იმედი? მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი გაგვიცრუვდა და მათი მონაწილეობა „კომიტეტში“ უფრო ფორმალური გამოდგა და მასთან ხანმოკლეც.

ამას შემდეგ (1878 წ.) „კომიტეტი“ ახალი წევრებით შეივსო. ეს ახალი წევრები იყვნენ: თ. დ. ერისთავი და დავ. სარაჯიშვილი. ეს ორი წევრი კომიტეტში 1879 წ. დარჩა და ჩვენ მოყვარულთა კვალად ახალი კომიტეტის არჩევა დასჭირდა. ამ წლის 11 აპრილს მოვახდინეთ ყრილობა და კომიტეტის წევრებად შემდეგნი იქმნენ არჩეულნი: დიმ. ყიფიანი, თ. გ. თუმანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, იოსებ ბაქრაძე და მე. მაგრამ ცოტა უკანვე დავბრუნდეთ.

ჩვენი წრის „კომიტეტად“ გარდაქმნისათანავე საქმის წარმოების წესიც შევსცვალეთ. აქამდის რომ წრის წევრი თეატრის საქმეში ყველა ცალკე დაკისრების კვალად თავისთვის შესაძლო შრომას ეწეოდა, ეხლა სათეატრო საქმის საერთო გამგეობა საკუთრად „კომიტეტს“ დაეკისრა, ხოლო მოყვარულნი მისი განკარგულებით ასრულებდნენ თავთავიანთ მოვალეობას. კომიტეტის წევრთა შორისაც შრომის განაწილება მოხდა და მასთან გადავწყვიტეთ—ამიერიდან საქველმოქმედო წარმოდგენებს სულ მოვრიდებოდით, [20]) და ქართულ თეატრს მხოლოდ ქართულ თეატრისთვის, მის ზნეობრივ და ნივთიერ განვითარებისთვის ემსახურნა; შემოსავალი თეატრისთვისვე მოგვეხმარებინა, საჭირო რეპერტუარი მოგვეპოვა, ზოგი როლების აღმასრულებლებიც დაგვეჯილდოვებინა და სხვა. და ამაზედ შორსაც იფრინა ჩვენმა განზრახვამ. იქამდისაც კი მოგვეცა გული, რომ შესაძლებლად დავინახეთ მუდამ საგრძნობელი მეტად დიდი ნაკლი შეგვევსო—საკუთარი თეატრის აშენების ზრუნვასაც შევდგომოდით. [21]) მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი ამ ფიქრის ხელის შემწყობი გარემოება შეიცვალა და ეს დიდად საზრუნველი საქმე, აქამდისაც საზრუნველად არის დარჩენილი.

ეს იმედები და გამბედაობა თანდათანობით იზრდებოდა ჩვენში (1873-1879), იმ თანდათანობით, რა თანდათანობითაც ჩვენს მოყვარულთა გუნდს ახალი ძალები ემატებოდნენ. ამ მხრივ უფრო მეტად ხაყოფიერი წელიწადები 1877 წლი-

*) იხ. „დროება“ № 26

17) ჩვენი საჯარო წარმოდგენები მეტ ნაწილად საქველ-მოქმედო იყო ხოლმე. იმას გარდა, რომ ამისთანა წარმოდგენები მაშინ ერთად-ერთ ქველ-მოქმედების წყაროს შეადგენდნენ, ჩვენ იმ მოსაზრებითაც ვუწყობდით ამას ხელს, რომ საქველ-მოქმედო წარმოდგენები დიდ ხალხს იზიდავდნენ. ვფიქრობდით, ამით ხალხი თანდათან თეატრს შეეჩვევა და ასე, დროს განმავლობით, ქართული წარმოდგენები მის მოთხოვნილებად გარდაიქცევა.

18) თ. გ. თუმანიშვილის გაცნობა 1876 წ. ერთ-ერთ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენის შემდეგ მოხდა, როდესაც ბ-ნ ხუნდუკიანცის პიესას „პეპოს“ თუ „ხათაბალას“ ვთამაშობდით. იმას უკან დიდი ხანი არ გასულა, რომ ალექსანდრეს ბაღში წამოეწია იგი და გამომიცხადა ქართული თეატრის საქმეში მონაწილეობის სურვილი და თქვენს წრეში მიმიღეთო. რაღა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღეთ. ის აღარ მახსოვს, ჩვენს წრესთან მისი შეხვედრა სად მოხდა. ეს კი ვიცი, რომ იმის წრეში შემოსვლის შემდეგ კრებები მის სახლში გადავიტანეთ, რადგან კნ. ბაბო ხერხეულიძე იმ ხანებში თ. ვანო აბალიშვილმა შეირთო და ქალაქ გარეთ მოუხდა ცხოვრება და მანამდის, რომ იმასთან გვქონდა ბინა—მოგვეშალა.

19) იმ დროში ხმები დადიოდა, რომ სასულიერო მთავრობა სემინარიის შენობას ჰყიდისო და იმის მაგიერ ქალაქის განაპირას აპირებს აშენებასაო. მყიდველად ასახელებდნენ გ. ქართველიშვილს და თანაც დასძენდნენ, განზრახვა აქვს იმ შენობის ეკლესია თეატრად გადააკეთოს ქართველებისთვისაო. ბევრი მისი მახლობელი მცნობი დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი ამ განზრახვას, ასე თუ სხვა რიგად, აასრულებდა. აქ საჭიროდ ვრაცხავ ისიცა ვსთქვა, რომ ამ ხმების მოტრფენი და იმედის მქონენი ყველაზედ იომეტებულად იოსებ ბაქრაძე და მე ვიყავით (იოსებ ბაქრაძე გ. ქართველიშვილის თავისიანი იყო და იმის განზრახვებიც უნდა სცოდნოდა.)

20) აქ საჭიროა მოვიხსენიო, რომ, როგორც ზევითაც ვთქვით, კომიტეტის დაარსებამდის (1877) ჩვენი «წრის» წარმოდგენები მეტ ნაწილად საქველმოქმედო იყო. «წრის» ვალი იყო მხოლოდ წარმოდგენა მოეწყო, ხოლო მის შემოსავალ-გასავალში სრულებით არ ერეოდა. ხშირად ისიც არ იცოდა, ვისთვის ან რისთვის იყო წარმოდგენა; ეს იცოდა მხოლოდ იმან, ვისი თხოვნითაც წარმოდგენა იმართებოდა. საქველმოქმედო წარმოდგენები ზოგჯერ «წრის» გარეითად, შემთხვევითა მოყვარულთაგანაც იმართებოდა.

21) ზევით ხსენილში მოვიხსენიე, რომ თეატრის აშენების იმედი გ. ქართველიშვილისაგან გვქონდა ძალიან. ამიტომამ იგენა კომიტეტმა მოგვანდო თავის წევრებს, დავ. სარაჯიშვილსა და მე, მოსაფერი ადგილი მოგვენახა ამისთვის. ჩვენ დავიარეთ და ორი ადგილი ვნახეთ გამოსადეგად: ერთი სემინარიის პირდაპირ (ფოსტის ქუჩაზე) და მეორე—სასტუმრო «ლონდონის» გვერდზე (საინჟინერო სასწავლის პირდაპირ). კომიტეტმა ეს უკანასკნელი ადგილი უკეთ, მოსაფერად სცნა, ერთი იმიტომ, რომ ფართო მისავალი აქვს, და მეორე—იმედი ჰქონდა, (მისი პატრონი ზუბალაშვილი სახელი არ მახსოვს) იმ ადგილს საერთო საქმისთვის თუ მუქთად არა, შეღავათიანი პირობით მაინც დაუთმობდა (მაშინ ამისთანა ხმები დადიოდა). მაგრამ, სამწუხაროდ, ამ არჩევის მეტი ვერა შევიძელით რა, რადგან ვისგანაც აშენების იმედი გვქონდა, სულ სხვა ჯურის ხალხში ჩავარდა თავის სიმდიდრით და ჩვენი თეატრის საქმე ხთვის გვერდაფერით მოიცალა.

✦ **„კაპეიკის“ კრება.** ხვალ, 7 თებერვალს, 12 საათისთვის, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ახლად შემდგარ „კაპეიკის“ საზოგადოებისა. კრებამ ამ სხდომაზედ უნდა დაასრულოს გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

✦ **„ჯეჯილი“** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ იანვრის ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ნაწარმოებნი ეკ. გაბაშვილისა, შ. მღვიმელისა, ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, ზომლეთელისა, ლ. გეგეჭკორისა და სხვათა.

✦ დღეს, 6 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოების სადგომში ქ-ნი გარდანიანი ნაშუადღევის 4—5 საათზე, ბავშთათვის სომხურად წაიკითხავს „ჯანმრთელობის ხე“-ს. კვირას, 7 თებერვალს, ამავე საზოგადოების სადგომში წაიკითხავენ: ქ-ნი გარდიშიანი, სომხურად დილის 10-11 საათ. „მაიმუნები“. ქართულად: ქ-ნი ი. ნაკაშიძე (დილის 11-12 ს.) —„ნაძვს“, ქ-ნი ბარნაბიშვილისა (ნაშუადღევის 12-ნახევ. საათ.)—„კატა ხუქმებში“. ამავე დღეს, საღამოს 5-7 ექიმები ვ. დ. დამბაშიძე და ა. პ. გრიტარიანცი მოზრდილთათვის წაიკითხავენ ადამიანის ფიზიოლოგიასა და ანატომიაზე, პირველი ქართულად, მეორე სომხურად.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, ყურადღება მიაქციეთ, რომ ძველ ტანისამოსისა და ნივთების მყიდველები ატარებდენ ნიშნებს და ფურცლებს, სადაც აღნიშნული იქნება ნებართვა ვაჭრობისა. ვისაც ნიშანი და ფურცელი არ ექნება, ნება არ დართოთ ვაჭრობისათ.

✦ 4 თებერვალს, ღამე, პოლიციამ დააპატიმრა თელაველი არშაკ ქალანთაროვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულა.

✦ 3 თებერვალს ბორჩალოელმა მოლამ კასუმ-ოღლიმ პოლიციას გამოუცხადა, 1 თებერვალს მოვიდა ჩემთან პეტრუჯ პოლოსიანი და წინადადება მომცა 6000 მანეთი ვერცხლის ფული ქაღალდის ფულში გამიცვალეო. ამასთან პოლოსიანცი შეჰპირებია, თითო ქაღალდის მანეთზე ორს ვერცხლის მანეთს მოგცემო. სოფლიდან პოლოსიანცს მოლა წამოუყვანია ტფილისში. კასუმ-ოღლის 900 მანეთი წამოუღია, თან ამხანაგი ევტიმ ბახტიონ-ოღლი წამოუყვანია. როდესაც სადგურ ნავთლუღში მოსულან, ღამის 10 საათი იყო. სადგურზე მოლასა და იმის ამხანაგს თავდასცემია ხუთი შეიარაღებული კაცი, წაურთმევიათ ფული და მიმალულან. პოლიციელებმა ბევრი ძებნის შემდეგ პეტრუჯ პოლოსიანცი და მისი ერთი ამხანაგი ნაზარ პოლოსოვი დააპატიმრეს.

✦ ორთაჭალის ბაღში დააპატიმრეს მებაღე იასონ გორგაძე, რომელსაც აღმოაჩნდა თოფი. მისი ტარების უფლება გორგაძეს არა ჰქონია,

—

**შეცდომის გასწორება.** შარშან „დროების“ 191 ნომერში დაიბეჭდა მღ. ვ. კანდელაკის „წერილი რედაქციის მიმართ“, სადაც შემდეგი კორექტურული შეცდომები შეიპარა: სწერია: „მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ ელენე დავითის ასულს ხმალაძისას, რომელმაც მიიღო შრომა და მოაგროვა ფული“ და სხვა. უნდა იყოს: „ქ-ნ ემელიანნს ხმალაძისას, რომელმაც შრომა მიიღო“ და სხვა. სწერია: —შემოსწირა დარია ჭეიშვილისამ 1 მანეთი“; უნდა იყოს: „დარია ჭეიშვილისამ 6 მანეთი“.

## მოწერილი ამბავი

**ქ. გორი.** ვგონებ, არც ერთ ქალაქში არ იქცევა თვითმართველობა ისე ზანტად, როგორც გორში. ბევრი რამ დაწერილა ამ მმართველობის უმოქმედობაზე, ბევრს და ბევრჯელ მიუთითებია და უთითებს ჩვენ „ოთხთვალა მამებს“ სხვა და სხვა საჭირო საქმეზე, მაგრამ ისინი მეტად ყურმძიმენი არიან, სიტყვა მუდამ სიტყვად რჩება, არ ითიმარით, შიგ გაურიეს წყალიო“. ჯერ სულ წყალწაღებული იყო საქმეს კი არა ეშველებარა, „ჯერ სულ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“. წყალ წაღებული იყო ჩვენი თვითმართველობა და მას შემდეგ ხომ, რაც სამსახურ გარეშე მყოფი პოლკ. პაპალექსი მოიწვიეს ქალაქის მმართველად, სულ ღმერთს აღარ უქნია. ამ „მმართველს“ და მის მონა მორჩილ მმართველობას ქალაქისთვის არა სცალიათ, ან კი როგორ მოიცლიან „ყელამდის საქმეებში სხედან.“ დიახ, ჩვენი „მამები“ „საქმიანობენ“, ქალაქი კი უსუფთაობაშია. საკმარისია პატარა ჟუჟუნა წვიმამ დაჰკრას, რომ ეზოები და ქუჩები ზღვად იქცნენ. ზღვაზე გასვლა კი ხომ იცით, მკითხველო, უბემოდ ძნელია. აიღეთ სამეფო, ჭავჭავაძის ან სხვა ქუჩა. განაწვიმაში იქ გავლა შეიძლება? ეს, მკითხველო, ცენტრშია, რაღა იქნება განაპირა უბნებში? ამ სიბინძურეზე, რომელიც ამ უბნებშია, თქმა საჭირო არა არის. გამგეობას ერთ-ერთ თავის სხდომაზე დადგენილი აქვს ფეხისადგილების უსუფთაობა უნდა განსაკუთრებულ ორმოებში მოიქცეს, „დამბარეულის“ გადასწვრივ, და ზეგიდან მიწა დაეყაროს. მერე თავის დადგენილების სისრულეში მოყვანას ადევნებს თვალს იგი? სრულიადაც არა. უსუფთაობა პირდაპირ მტკვარში ან მის ნაპირებზე იქცევა, რაიც ვგონებ ყველამ უწყის 6 იანვრის შემდეგ. წყლის კურთხევას აურებელი ხალხი დაესწრო. ბლომად იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოსულნი, მშვენიერი სურათი იყო. ნავთიკებზე გაისმოდა „მრავალ-ჟამიერი“, მტკვრის ნაპირებზე ზარბაზნებს გუგუნი გაჰქონდათ, მტკვარს კოლოსავით ეხვია მობანავე, მაგრამ.... ყველას ცხვირზე ხელსახოცი ეფარა. თითქოს განგებ—ქარი იმ მხრიდგან მოჰქროდა, სადაც უსუფთაობას აქცევენ. ჩვენ სულიერ მამებსაც უნდა სცოდნოდათ, რომ იმ ბინძურ მხარეს იორდანეს ადგილი არ იყო. მისი გაკეთება ხიდის ზემოთაც შეიძლებოდა, უფრო სუფთა ადგილას...

საზოგადოდ სისუფთავეზე თავს არავინ იტკიებს. ქალაქის თავი, რამე რომ უთხრათ, პირში მოგახლით—„ფული არ არისო“. საკვირველია ღმერთმანი: კანალიზაციის გამართვისათვის ფული არ არის, ბაღის გაშენებისათვის ფული არ არის, კულტურულ და საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსება-დახმარებისთვის ფული არ არის, ქუჩების ხეირიანად მოკირწყლვისთვის ფული არ არის, მაშ სად მიდის ის ფული, რომელსაც მოქალაქეებს ახდევინებენ? ალბად ეს ფული სხვა და სხვა შტატის გადიდებას და „ერთგულ სამსახურისათვის“ დაჯილდოვებას უნდება.

მოქალაქეთა ჯანმრთელობას საფრთხე მოელის წყლის მხრივაც, მეტადრე იმ ნაწილს, რომელიც წყალს ყიდულობს. „წყარო“, საიდგანაც მეთუღუხეთ წყალი მოაქვთ, მეტად ბინძურ ადგილას არის. ირგვლივ წუმპეა. თუ ჩემსას არ დაიჯერებენ, ვისაც სურს, თვითონ მიბრძანდეს და ნახოს, ესეც რომ შორს არ არის, და დარწმუნდება, ხომ „წყაროს“ წყლის სახით იგი სვამს წუმპეს წყალს.

ჩვენმა ელექტრონის ფარნებმა ეხლა დაიწყეს გაფუჭება, როცა მთავრობამ მთელ რუსეთში მოსპო გაფიცვა.

**ბოსიაკი.**

—

**ხონი.** ქართული ენის დევნა არ ახალი, ძველი ამბავია. მაგრამ მაგარი ის არის, დღითი-დღე ეს დევნა ძლიერდება. მდევნელი ქართულ ენისა საპატიო ადგილს იჭერს ერთგვარ წრეში, სამსახურშიაც ადვილად მიიწევს წინა. ამით თამამდებიან ბევრნი და ამრავლებენ რუსიფიკატორების რიცხვს. უბედურება ის არის, იმდენად დავძაბუნდით და დავჩაჩანაკდით, რომ ხმასაც ვერ ვიღებთ. მეტიც: ზოგჯერ ფეხებს ვულოკავთ რუსიფიკატორებს. ასეთები გულ-უზრუნველად ფიქრობენ—ამ გვარის მოქმედებებით გამოვრჩებით რასმეს.

სხვათა შორის, ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოდან სულ ერთიანად გამოდევნეს ქართული ენა. თუმცა ქართულ ენას საპატიო ადგილი არასოდეს არ ეჭირა სასამართლოში, მაგრამ აქამდის უწყებებს მაინც სწერდნენ ქართულად. დღეს ესეც აღარ არის. უწყებების ქართულ ენაზე დაწერას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ხშირად უწყებები იგზავნება სოფლად სოფლელების დასაბარებლად ამა თუ იმ საქმეზე. სოფლელებს ქართული ცოტად თუ ბევრად ესმით და უწყებაზე დაწერილი უწყება მისდის სოფლელს, უნდა ირბინოს ვინმე ნასწავლთან ან მღვდელთან. ხშირად იმ დროს სოფელში არც ერთია, არც მეორე. მაშინ მეორე სოფელში უნდა წავიდეს და იქ წააკითხოს.

როგორც გავიგეთ თურმე უწყებების ქართულად დაწერას კანონი არ უკრძალავს სასამართლოებს და ეს მხოლოდ ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს მოხელეების წყალობაა. ალბად ფიქრობენ, ასეთი პოლიტიკის წარმოებით ქებასა და დიდებას. შეგვასმენო... საჭიროა, თითონ ბ-ნმა მოსამართლემ მიაქციოს ამას ყურადღება და შესცვალოს უწყებების დაწერის წეს რიგი

**ვინმე ივერიელი.**

—

**სოფ. საჭილაო** (სენაკის მაზრა). ბ-ნ კარპეზ კორძაიამ დ. ბოცვაძის შემწეობით მოაწყო ჩვენს სოფელში წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმე. ნებართვა უკვე მიიღო მასწავ. ქ. თ-ძემ, როგორც წ.-კ. საზოგადოების მიერ დანიშნულმა გამგემ. დიახ, ნებართვა მივიღეთ, კიდეც გამოვაცხადეთ 13 იანვარს საზოგადო ერილობაზე, რომ სამკითხველო გვექნებაო, მაგრამ მარტო ეს არა კმარა, დაჩქარება და მეტე საჭიროა დახმარება.

ამავე ერილობაზე, მღ. ი. ჟ—ს წინადადებით, ხალხს გამოუცხადეს, აეშენებინა ქალთა ორ-კლასიანი სასწავლებლისათვის სახლი და ეკისრნა სკოლის შენახვა. მასწავლებლები ხაზინის ხარჯით იქნებიანო. თუმცა ასეთ დაპირებას ხალხი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მათი დათანხმება, რომ არ გამოჩენილიყვნენ ისეთი პირები, როგორიც არის გო—შვილი. იგი განგებ იმისთვის ესწრება საზოგადო ერილობას, რომ ჩაფუშოს ყოველი ხალხი სასარგებლო საქმე.

**ქ.**

—

**ქ. ახალციხე.** წელს ჩვენსკენ უთოვლობაა და სუსტი ზამთარი გაზაფხულსა ჰგავს, წვიმებიც არ გვაკლია, როდესაც სხვა დროს უტეხი თოვლი და ყინვები ყოფილა. მთელ იანვარში მზიანი დღეები იდგა. ასეთმა ზამთარმა ავადმყოფვანი გაგვიხშირა: წითელა, ყვავილი, სათოვლე და სხვა. ავადმყოფობა მძვინვარებს მეტადრე სოფლებში. სოფ. მუსხში და ახლო-მახლო სოფლებს თურმე გახშირებული. მკვიდრნი სტირიან, ფერშლის ჯამაგირებს ვიხდით და ფერშალს არ გვიგზავნიანო.

ჩვენებურ გლეხს ძალიან ეშინიან, რომ მოსავალი ცოტა არ მოგვცეს ამნაირმა სუსტმა და უთავბოლო ზამთარმა.

**ქ. გ—ძე.**

## უცხოეთი

**ინგლისის სამინისტროს ტაქტიკა.**

ინგლისის პარლამენტი უკვე შეიკრიბა, ხოლო 8 თებერვალს წაიკითხავენ სეფე-სიტყვას, რომლიდანაც ცხადად გავიგებთ ასკვიტის სამინისტროს პროგრამასა და ტაქტიკას, მაგრამ ინგლისურმა ოფიციოზურმა ცნობათა ბიუროს უკვე გაუგზავნა გაზეთებს ცნობა ამ მომავალ ტაქტიკის შესახებ. ცნობათა ბიუროს სიტყვით, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სეფე-სიტყვის განხილვის უმალვე დეპუტატთა პალატა შეუდგება ლოიდ-ჯორჯის ბიუჯეტის მეორედ დამტკიცებას. მართალია, [illegible] მთავრობას, რომ მას [illegible] ლესად შეიტანოს და დაამტკიცებინოს [illegible] ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვის შესახებ, მაგრამ მთავრობა ამჯობინებს ბიუჯეტის დამტკიცებას, რადგან სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება უფრო აუცილებელ და საჭირო საქმედ მიაჩნია, შემოსავლის დაგვალად გადასახადის დაკანონება რომ კიდევ რამდენიმე კვირით გადაიდვას, ხაზინას დაეკარგება რამდენიმე მილიონი სტერლინგი შემოსავალი. ამიტომ მთავრობას ვეღარავინ უსაყვედურებს მხდალობასა და ლაჩრობას. უეჭველია, რომ უკვე სეფე-სიტყვის განხილვის დროს ასკვიტი და სხვა მინისტრები ხაზ-გასმით განაცხადებენ, რომ ბიუჯეტის ლორდთა პალატაში ხელმეორედ წარდგენით დეპუტატთა პალატა სულაც არ უარჰყოფს თავის უზენაეს უფლებას საფინანსო საქმეებში; ამას გარდა მინისტრები გააცნობენ პალატას იმ საშუალებას, რომელიც მიღებულ იქნება ორსავე პალატის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, პარლამენტის გახსნის უმალვე მინისტრები გააცნობენ პალატას თავიანთ ტაქტიკას და იქნება მათი განმარტების შემდეგ მნიშვნელობა დაეკარგოს საკითხს; რას დაეთმოს პირველობა: ბიუჯეტის დამტკიცებას, თუ ლორდთა პალატის უფლების შეზღუდვას.

## სპარსეთი

**სპარსეთის მეჯლისის მოქმედება,**

წარსულ წლის 1 დეკემბერს სპარსეთის სამინისტრომ თავისი პროგრამა წაიკითხა მეჯლისში. როგორც ამ პროგრამიდან გამოჩნდა, მთავრობას თავის პირველ საქმედ მიაჩნია „წესიერების და სიწყნარის აღდგენა“ სპარსეთში, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებულ სამხედრო ძალის მოწყობა, რიცხვით 30 ათას კაცამდე, რომელიც მხოლოდ შინაგან პოლიციურ სამსახურისთვის იქნება მოხმარებული, ეს ახალი ჯარი დაბინავებულ იქნება დიდ ქალაქებში, იქნება კარგად შეიარაღებული და ჩაცმულ-დახურული, ჯამაგირიც

---

დგან დაგვიდგა. ამ წელში ჩვენთა მოყვარულთა წრეში, როგორც ზევითაც ვსთქვი, თ. გ. თუმანიშვილი შემოვიდა და ცოტა იმის შემდეგ (1878-1879) მოგვემატნენ: ალ. და დავით სარაჯიშვილები, თ. დავ. ერისთავი, თ. იოს. ანდრონიკაშვილი, თ. დ. გურამიშვილი, ნოდ. ჯორჯაძე, გრ. ყიფშიძე, ალ. რონინაშვილი, ად. ჩუბინაშვილი, ას. ცაგარელი, კ. მესხი, ვლ. ალექსის ძე მესხიშვილი, ალ. ნებიერიძე, ხოლო ქალები: მარ. საფაროვი (შემდეგში აბაშიძისა), ნატ. გაბუნია (შემდეგში ცაგარლისა), ქ. მერკულოვისა. ამ ახლად შემოსულთა და ძველ მოყვარულთან კომიტეტის წევრებს ვინც შეადგენდნენ, ზევით არიან მოხსენებულნი, ხოლო დანარჩენნი მოყვარულთა გუნდის წევრებად ითვლებოდნენ, და გარდა იმისა, რომ კომიტეტის არჩევაში მონაწილეობას იღებდნენ, ყველანი, რითაც კი შეეძლოთ, როლის ასრულებით თუ სხვებრ, ეხმარებოდნენ საქმეს; ამისთანა დამხმარენი ზოგნიც გარედან გვყანდნენ, მაგალ. პ. უმიკაშვილი, ან. ფურცელაძე, სერგეი მესხი (მაშინდელი „დროების“ რედაქტორი), რომელნიც ხანდიხან კომიტეტის სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ და რაიმე რჩევით გვეხმარებოდნენ.

ხსენებულ მოყვარულთაგან 1877 წელს ისეთი სათეატრო დასი შესდგა, რომ მისი სცენაზედ მოღვაწეობა ჩვენს საზოგადოებაზე უფრო მეტი მოთხოვნილების პატრონს საზოგადოებაზე საც დააკმაყოფილებდა. ეხლა შეგვეძლო გვეთქვა, რომ ნამდვილ მსახიობთა დასის პატრონნი ვიყავით. ამ დასს შეადგენდნენ ქალები: კნ. ბაბო ხერხეულიძე-ავალიშვილისა [21], ელენე და მარიამ ყიფიანები, ელის. ყაზბეგი, ბარ. კორინთელი, მარ. საფაროვი (შემდეგში აბაშიძისა), ნატ. გაბუნია (შემდეგში ცაგარლისა), მერკულოვისა, ალმუროვისა და სხვანი და კაცები: ვ. ყიფიანი, ვას. აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ნიკ. შიშნიაშვილი, ზაალ მაჩაბელი, ას. ცაგარელი, სტ. ალმუროვი, ესტ. გედევანიშვილი და სხვანი; საჭიროების ჟამს ჩვენს დასში მონაწილეობას იღებდნენ ზევით მოხსენებულნი სომხის არტისტები: ქ. ნაზარიანცისა (შემდეგში ქ-ნი იზმიროვისა) და ბ-ნი ჩიმიშკიანი, ხოლო ზოგჯერ წრის წევრნი: ნოდ. ჯორჯაძე, დ. დაფქვიაშვილი, იოს. ბაქრაძე, ძველი სცენის მოყვარული მიხ. ელიოზიშვილი, მე და სხ. სუფლიორის და სცენარიუსის მოვალეობას ხან იოს. ბაქრაძე და ხანაც მე ვასრულებდით, ხოლო ბოლო ხანებში სუფლიორად გრიგოლ ყიფშიძე იყო. ადმინისტრატორის თანამდებობა ად. ჩუბინაშვილსა ჰქონდა დაკისრებული. რეჟისსორის მოვალეობას 1877-1878 წ. მე ვასრულებდი, ხოლო 1879 წ—გ. თუმანიშვილი. ამ ბოლო წელს ერთხელ თუ ორჯელ თ. ბებუთოვი (ინჟინერი) რეჟისსორობდა ჩვენს დასს და უნდა ვსთქვა, რომ იგი შესანიშნავი რეჟისსორი იყო.

კომიტეტის შრომა ესე იყო განაწილებული (1877-1879) თ. გ. თუმანიშვილი საქმის საერთო გამგე იყო, ხოლო მე მისი დამხმარე.[22] მდივნობას პირველში ხან ის და ხანაც მე ვასრულებდი, ხოლო 1878-1879 წ. მდივნად თ. ნოდ. ჯორჯაძე იყო. ხაზინადრად პირველ ხანში გ. თუმანიშვილი იყო, შემდეგ ალ. რონინაშვილი და ბოლოს იოსებ ბაქრაძე. ალ. სარაჯიშვილს „კომიტეტში“ წევრად ყოფნის დროს რეპერტუარის რედაქცია ჰქონდა მინდობილი, მაგრამ იგი ძალიან ცოტა ხანს დარჩა კომიტეტში.

„კომიტეტის“ კრებები, როდესაც იმის წევრებს შორის ითვლებოდნენ კონ. მამაცაშვილი, ილ. ჭავჭავაძე და გ. ქართველიშვილი, სათავადაზნაურო ბანკში იმართებოდა, გ. თუმანიშვილის კომიტეტში შემოსვლის დროიდგან კი თითქმის მუდამ მის სახლში იყო ხოლმე და ზოგჯერაც დავ. სარაჯიშვილთანა და ალ. რონინაშვილის ფოტოგრაფიაში; ეგრეთვე რეპეტიციები უფრო ხშირად გ. თუმანიშვილთან იყო ხოლმე და ზოგჯერ ალ. რონინაშვილის ფოტოგრაფიაში, ხოლო რამდენჯერმე (1879—1880) ჩემთან.

ამ ახალ „კომიტეტის“ დაარსების შემდეგ, 1869 წელს არჩეული (თ. ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილის სახლში კრებაზედ) კომიტეტი თავისთავად გაუქმდა (თუმცა კი დიდი ხნიდგანვე აღარ მოქმედებდა იგი) და წინად მისი დახმარებით გამართულ ორიოდე წარმოდგენიდან დარჩენილი ფული, რომელიც ბ-ნ ვახტანგ თუმანიშვილთან ინახებოდა, ჩვენი მოთხოვნით, ჩვენს „კომიტეტს“ (1878 წ.) პეტრე უმიკაშვილის ხელით გადმოეცა (მგონია 250 მანეთამდის); ამას გარდა, გადმოეცა იმ ხანებში გაუქმებული „გამომცემელ ამხანაგობის“ გადარჩენილი ფულიც (არ მახსოვს, რამდენი). ეს გადმოცემული წინად გამართულ წარმოდგენებიდან დარჩენილ ფულით[23]) შეგვიდგა 800 მანეთზე მეტი.

რაკი ასე მოეწყო საქმე, ჩვენი კომიტეტი რეპერტუარზედ ზრუნვასაც შეუდგა. ძველი რეპერტუარი თ. გ. ერისთავისა და ზაქ. ანტონოვის პიესები ველარ აკმაყოფილებდნენ, ვერ იზიდავდნენ საზოგადოებას. ამიტომ ვისაც კი რა შეეძლო ამ მხრივ ჩვენი დახმარება, ყველას მივმართეთ მოგვშველებოდნენ. ამ შრომას ჩვენი გუნდის წევრებიც შეუდგნენ. გ. თუმანიშვილმა მოლიერის „ჟორჟ დანდენი“ გადასთარგმნა, იოს. ბაქრაძემ სუნდუკიანცის ზოგი პიესა (ზოგიც ადრე გვქონდა მისი ნათარგმნი და ნათამაშევიცა), ას. ცაგარელმა დასწერა „რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ“ და ამისთვის ჯილდოც მივუსაჯეთ, თ. რაფ. ერისთავმა რუსულიდან გადმოაკეთა „ბიძიასთან გამოხუმრება“ და აგრეთვე დავაჯილდოვეთ იგი; იმანვე ერთი სხვა პიესა დასწერა, რომლის სახელი აღარ მახსოვს (მაგრამ ის კი მახსოვს, რომ მშვენიერი სურათებიანა იყო და ზოგის აზრით კარგად მოწყობილ ოპერის თემად გამოდგებოდა); თ. დ. ერისთავმა რუსულიდან გადმოაქართულა „გეო, მინას და კამპანია“ და ფრანგულიდან „სამშობლო“. პირველი სუსტი გამოდგა, მაგიერად მეორემ საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა და იგი ღირსებას არაოდეს არ დაჰკარგავს. ვას. აბაშიძემ, კოტე მესხმა, ას. ცაგარელმა, ნასიძემ და სხვათ ბევრი კომედია და ვოდევილი სთარგმნეს და გადმოაკეთეს. აკაკიმ დასწერა „ბუტიობა“, „თამარ ცბიერი“, სთარგმნა „სკაპენის ცუღლუტობა“ მოლიერისა; პეტრე უმიკაშვილმა დასწერა „მისანი“ და ერთიც სხვა, სახელი არ მაგონდება, ეგრეთვე გ. წერეთელმა —„ოჯახის ბურჯი“. ერთის სიტყვით ჩვენი საქმის გარეშემო მოტრიალემ ყველამ თითქოს მოვალეობად დაიდო პიესებზედ შრომით სამშობლო თეატრისთვის თავის წილი ხარკი გადაეხადნა. ამ შრომას ჩვენს გარეთაც შეუდგნენ. თ. ვანო მაჩაბლის თაოსნობით პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეც შეუდგა პიესების თარგმნა-გადაკეთებას და მათი ნაშრომი რამდენიმე პიესა ხსენებულმა მაჩაბელმა 1879 წ. გაზაფხულზედ ჩამოგვიტანა. მას შემდეგ ქართულ რეპერტუარზედ ზრუნვა-შრომა არ შეჩერებულა.

რეპერტუარის თანდათანმა ზრდა-განახლებამ და საზოგადოებაში თეატრის მოთხოვნილების გაღვიძებამ, ამასთან ერთად ჩვენ მოყვარულთა გუნდში იმისთანა ნიჭიერ როლების ამსრულებლების ყოლამ, როგორებიც იყვნენ ქალები: კნ. ბაბო ხერხეულიძე-ავალიშვილისა, ელენე, მარიამ და კოტე ყიფიანები, ელის. ყაზბეგი, ვასო აბაშიძე, ნიკ. შიშნიაშვილი, თ. ზაალ მაჩაბელი და სხვანი და ახლად შემოსულნი—მარ. საფაროვისა[24]) ნ. გაბუნია,[25]) ას. ცაგარელი, კოტე მესხი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი და სხვანი, გვაფიქრებინა, რომ ეხლა შეგვეძლო წარმოდგენების მართვა უფრო წესიერ გზაზედ დაგვეყენებინა და ის ნაბიჯი გადაგვედგა, რომელიც 1868 წლიდგან დავიდეთ მიზნად და რომელიც თეატრის საქმეს სიცოცხლის, არსებობის ნიჭსა და ძალას მისცემდა. ეს ის ნაბიჯი იყო, რომ ქართული წარმოდგენები შემთხვევითობის მდგომარეობიდან გამოგვეყვანა და მუდმივობის, აუცილებლობის გზაზედ დაგვეყენებინა. ამისთვის კი საჭირო იყო ქართული თეატრი შრომის დამაჯილდოვებელ საგნად, მსახიობთათვის ხელობად გადაგვექცია და მათთვის ცხოვრების სახსრად გაგვეხადნა იგი. წარმოდგენების გაუკეთესებისთვისა და წარმოდგენებში საზოგადოების მოზიდვისთვისაც ხომ ამ ცვლილების მოხდენა აუცილებელი იყო. ამ მოაზრებამ სამუდამო დასის შედგენა დაგვიყენა წინ. ეს იყო 1878 წელს.

**ნიკ. ავალიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

---

21) კნ. ბაბო ხერხეულიძე-ავალიშვილისა თუმცა დაშორდა თეატრს, რადგან ქალაქ გარედ მოუხდა ცხოვრება, მაგრამ ისევ მალე დაუბრუნდა.

22) „თავმჯდომარეობის“ სახელს მაშინ არ ვხმარობდით. ხოლო როდესაც (1879) კომიტეტში დიმ. ყიფიანი ავირჩიეთ, თავმჯდომარის სახელი და უფლება იმას ვაკუთვნეთ.

23) თეატრის შესახებ გადარჩენილ ნაწერებში ერთი ფარატინი მოიპოვება, სამწუხაროდ, უთარიღო, რომელშიაც შვიდი წარმოდგენის ანგარიშია. ეს წარმოდგენები 1877/8 წ. უნდა ყოფილიყოს, რადგან 1878/9 წ. ცამეტი წარმოდგენა გვქონდა და მისი ანგარიში იმ ფარატინში აღნიშნულ ანგარიშთან სულ განსხვავებულია. ხსენებულ ფარატინში ნათქვამია: „სცენის მოყვარულთაგან სცენის სასარგებლოდ და მოყვარულთათვის წარმოდგენა გამართულა სულ 7. ამ წარმოდგენებიდან შემოსულა 2220 მან. 75 კაპ. აქედან დარჩენილა (მოგება) 657 მ. 75 კაპ. უწინდელ წარმოდგენებიდან მიგვიღია 182 მ. 45 კ., სულ 840 მ. 20 კაპ. აქედან დახარჯულა: წვრიმან საჭიროებაზედ 54 მ. 43 კ., ტანისამოსზედ 239 მ. 37 კ., სულ 293 მ. 80 კ. ჩუბინაშვილს გარდაეცა ტანისამოსი 115 მ. სულ 480—80 კ., ნაღდად დარჩა 431 მან. 40 კაპ.

24) იმის მიუხედავად, რომ ქართულ სცენაზე საპატიო ოჯახის ქალები იღებდნენ უკვე მონაწილეობას (თ. ხერხეულიძისა, ყიფიანისა და ყაზბეგის და,) მაინც ზოგიერთ ჩვენს ოჯახებს თავიანთ ქალების სცენაზე გამოშვება ეძნელებოდათ. „დროების“ რედაქტორმა სერ. მესხმა რომ ქ-ნ მ. საფაროვის სასცენო ნიჭი შეგვატყობინა და მოყვარულთა გუნდში მისი მოზიდვა გვირჩია, ჩვენ მისს დეიდა პოლკ. აბელაშვილის მეუღლესთან ბევრი თხოვნა-საბუთების დახარჯვა დაგვჭირდა, რომ სცენაზე გამოსვლის ნება დაერთო მისთვის. ბევრი უარის შემდეგ, იმ პირობით დაგვთანხმდა ჩვენს თხოვნაზე, რომ მე (ალბად იმიტომ, რომ ქ-ნი აბელიშვილისა ჩემი ცოლის თანმეზრდილი ამხანაგ-მეგობარი იყო), მეტარებინა იგი შინიდან რეპეტიციებზე და რეპეტიციებიდან შინ. მეც ამ დავალებას მეჯითად ვასრულებდი, ვიდრე ჩვენს არტისტს ვ. აბაშიძეზე დაინიშნებოდა და მით იგი მის მფარველობის ქვეშ გადავიდოდა.

25) ნატ. გაბუნია მარ. საფაროვზე ცოტა შემდეგ მოვიდა ჩვენს გუნდში. იგი მანამდე გორის მოყვარულთა წარმოდგენებზე იღებდა მონაწილეობას, კარგი მსახიობის სახელი ჰქონდა განთქმული და აგრეთვე კარგი მომღერალიც. ეს რომ შევიტყეთ, მაშინვე ჩვენს წრეში მისს მოყვანას შევუდექით და ნაცნობების დახმარებით ჩამოვიყვანეთ კიდეც. პირველი მისი დებიუტი მუსიკალურ საზოგადოების სცენაზე იყო (იარმუკაზე, ხომ ხის სემინარიის სახლში) „გეო, მინას და კომპანიაში“. პირველში ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კომიტეტზე, მაგრამ შემდეგში საყვარელი მსახიობი შეიქმნა და მას აქეთ იგი სცენას აღარ მოშორებია.

რიგზე მიეცემა. ეს უცხო ამბავია სპარსეთისთვის, სადაც ძველ რეჟიმის დროს ალაპარაკებდნენ ლოზუნგს: „ჯარის-კაცი-გონიერი მხეცია, თითონ გამოიკვებებაო“. ამ ჯარისთვის საჭირო ფულის საშოვნელად მთავრობა ფიქრობს ქონებაზე პირდაპირ გადასახადის დაწესებას, ხოლო თუ ეს არ იკმარებს, გარეშე სესხის 5 დან 10 მილიონ თუმნამდე—აღებას. ამ სესხის კონტროლისთვის უნდა დაწესდეს სპეციალური უმაღლესი საანგარიშო პალატა, ამას გარდა განზრახულია ერთის ცენტრალურ კასსის დაწესება ყველა სახელმწიფო შემოსავლისთვის. მთავრობას მტკიცე იმედი აქვს წელს სპარსეთის ბიუჯეტი—პირველად ისტორიაში—მოაწესრიგოს და სახელმწიფო შემოსავალი შეუფარდოს გასავალს, პროგრამაში შეტანილი იყო აგრეთვე, იუსტიციისა და სახალხო განათლების რეფორმა, რისთვისაც უნდა მოვიწვიოთ უცხოელი ხელმძღვანელებიო, ასეთი იყო სპარსეთის მთავრობის პროგრამა, ცხადია, რომ მის ქვა-კუთხედს შეადგენს გარეშე სესხი; ამიტომ ეს პროგრამა წაიკითხა ფინანსთა მინისტრმა ბოსულელდ-დოულემ.

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტ. ცაიტუნგ“-ის თეირანელი კორესპონდენტი სწერს, რომ მეჯლისმა მეტად დიდის სიფრთხილით განიხილა ძირითადი საკითხი, ესე იგი საკითხი სესხის შესახებო. კორესპონდენტის სიტყვით, საქმე ამნაირადაა: ინგლისი და რუსეთი უარს არ ამბობენ სესხის მიცემაზე, მაგრამ გარანტიებს მოითხოვენ, სპარსეთი-კი არ იძლევა ამ გარანტიებს. სპარსეთი იმდენად მცირე სესხს თხოულობს, რომ სახელმწიფოებს უგარანტიოდაც შეეძლოთ მისი მიცემა, მაგრამ ინგლისი მაინც თხოულობს. რომ სპარსეთის სამხრეთ პროვინციებში ჟანდარმების უფროსებად დაინიშნავენ ინგლისელთ, ან იტალიელთ აფიცრებს, ხოლო რუსეთი თხოულობს, რომ ჩრდილოეთ სპარსეთის ჟანდარმერიის უფროსებად დაინიშნენ რუსის აფიცრები: სპარსეთის მთავრობა დიდის ხალისით დასთანხმდება ცოტაოდენად მაინც სასარგებლო პირობებს, ოღონდ ფული იშოვოს 6 პროცენტად და ამ ფულით მოიშოროს 12% აღებული წვრილი ვალები რის წყალობითაც სპარსეთის ხაზინას დარჩება 600,000 თუმნამდე მოგება. მაგრამ სპარსეთის ხალხი ჯერ კიდევ ისე ძლიერია აღელვებული რუსეთის წინააღმდეგ, რომ მეჯლისი არაფრის გულისთვის არა სთანხმდება ზემოხსენებულ პირობებს.

**სიძულვილი რუსებისადმი.**

„ბაქუს“ ატყობინებენ თეირანიდან: სპარსეთის ხალხში მეტად გაძლიერდა სიძულვილი რუსებისადმი. სპარსელებს ძლიერა სწყინთ, რომ რუსეთმა მიიღო გაქცეული რახიმხანი, თავისი ჯარი არ გაიყვანა სპარსეთიდან, სესხის აღება დააბრკოლა და ბუხარაში აკლების დროს არ ცაეხმარა სპარსელებს.

მეჯლისში ზოგიერთმა დეპუტატმა წარმოსთქვეს რუსეთის სიძულვილით გაჟღენთილი სიტყვები. სპარსული პრესაც ბეჯით აგიტაციას ეწევა რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის საელჩოს ახლო იპოვეს მუქარის წერილები. ხმა გავრცელდა, ვითომ ყაზვინიდან თეირანში მიდიოდეს რუსის ყაზახთა რაზმი ტყვიის მტყორცნელებით, რომელიც რუსეთის ელჩმა გამოიწვია თავის საელჩოს დასაცველადაო. გამოჩენილი სპარსელი პოლიტიკური მოღვაწეები ჰფიქრობენ, რომ, როგორც მოქმედებიდან სჩანს, რუსეთს ჩრდილოეთ სპარსეთში ჯარის შემოყვანა სურსო.

**ყაზახთა ბრიგადის უფროსის ქცევა-**

ლიახოვის შემდეგ, სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის უფროსად დაინიშნა რუსის აფიცერი თავადი ვადბოლსკი. ამას წინად ახალმა უფროსმა სამსახურიდან დაითხოვა სპარსელი აფიცრები იმის გულისთვის, რომ მათ ერთგულება გამოუცხადეს სპარსეთის კონსტიტუციას და ახალ მეჯლისს. სამხედრო მინისტრმა სეპეხდარმა უბრძანა ვადბოლსკის, უკან მიიღეთ დათხოვნილი აფიცრებიო, მაგრამ ვადბოლსკიმ გადაჭრილი უარი შეუთვალა ამაზე მინისტრს. ამ უარმა ძლიერ ააღელვა სპარსეთის სამხედრო წრეები („ბ.“)

# მელიტონ ი. ჩოგოვაძე

გარდაიცვალა ძვირფასი მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე. ამ მოულოდნელმა ამბავმა ყველას, ვინც-კი მისი მოწაფე იყო, გული დასწყვიტა.

განსვენებული ქუთაისში ჯერეთ სასულიერო სემინარიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად, სადაც ძლიერ მადლიერი ჰყავდა მოწაფეები. იმის სახელთან ისინი აერთებდნენ ქართული ენის საუკეთესო მასწავლებლის სახელს და მისის უზომო პატივის სცემით იყვნენ განმსჭვალულნი. შემდეგ, როდესაც ქუთაისში დაიხურა სასულ. სემინარია, მელიტონი დაინიშნა იმავე ენის მასწავლებლად ქუთ. სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ ინსპექტორად ქალთა საეპარქიო სასწავლებელში და ამ თანამდებობას ასრულებდა სიკვდილამდე. განსვენებული დიდი შრომის მოყვარე ადამიანი იყო; მოსვენება თითქმის სრულიად არ იცოდა: რაც აღნიშნულ სასწავლებლებში თავისუფალი დრო ჰქონდა, სხვა გაკვეთილებს ანდომებდა (სხვათა შორის, ქართული ენის გაკვეთილები ჰქონდა კლასიკურ გიმნაზიაში). ბევრი რამ სიკეთე ახსოვთ მოწაფეებს იმისაგან: როგორც მასწავლებელი, იგი არა ჰგავდა იმათ, რომელნიც მხოლოდ გადაფურცლენ სახელმძღვანელოს ფურცლებს და ეტყვიან მოწაფეებს: „აქედან აქამდე დამისწავლეთო“. კარგად ესმოდა, რომ ერთად-ერთი ამოკითხვა იმისა, რასაც მხოლოდ სახელმძღვანელოს სტრიქონები შეიცავენ, ვერ დააკმაყოფილებდა მოწაფეების სულიერ მოთხოვნილებას და საკმაოდ ვერ მოამზადებდა იმათ გზის გასაკვლევად ცხოვრებისაკენ. ამისათვის მზად იყო ყოველთვის ახსნა და განეგრძო განმარტება საგნისა მანამდე, სანამ მოწაფენი საფუძვლიანად არ შეითვისებდნენ. სასულ. სასწავლებლის მე-3—4 კლ. განსვენებული საქართველოს მოკლე ისტორიას გვასწავლიდა. თუმცა პროგრამა საგნისა ბევრს არას წარმოადგენდა და არც სახელმძღვანელო გვქონდა ხეირიანი, მაგრამ მისმა ენერგიამ და ცოდნამ ბევრი რამ გვაცნო ამ საგნიდან. გვიკითხავდა სასწავლებელში გაკვეთილის დროს სხვა და სხვა ნაწარმოებს საქართველოს ისტორიის შესახებ საერთოდ და კერძოდ სხვა და სხვა მოღვაწეებზე და თვითონ ყოველ საჭირო განმარტებას იძლეოდა. გარდა ამისა, განსვენებულს თითქმის ყოველ გაკვეთილზე მოჰქონდა სანიმუშო ნაწარმოები ქართულ და უცხოელ ლიტერატურისა და გვიკითხავდა სკოლაში. ამნაირად მან შედარებით საკმაოდ გაგვაცნო, პროგრამის გარეშე, ქართული ლიტერატურა და მწერლები. ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის მოწაფეების წინაშე, დაუვიწყარია ჩვენთვის. ყოველი რამდენადმე შეგნებული მისი მოწაფე, რომელსაც თავისი მიზანი მხოლოდ დიპლომისადმი მისწრაფებით არ განუსაზღვრავს, განსვენებულის დიდი მადლიერია...

საუბედუროდ, ასეთი მასწავლებელი და აღმზრდელი უდროდ მოსწყდა ცხოვრების ასპარეზს და დღეს უკანასკნელად ეთხოვება იმის პატიოსან ცხედარს დაობლებული და ძაძით შემოსილი ქუთაისის მოსწავლეთა ჯგუფი!

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ღირსსახსოვარო მასწავლებელ-აღმზრდელო მელიტონ! **მოწაფე-**

# წერილი რედ. მიმართ

თქვენს პატივცემულ გაზეთში დასტამბულ გუშინდელ მეთაურ წერილის ავტორი ეხება იმ საზიზღარ საქმეს, რომელიც მონათლულია უკვე როგორც „მოსყიდვა ტფილისის რუსულ გაზეთების ჟურნალისტებისა“.

თუმცა ის პირდაპირ ჰგმობს პართენ გოთუას საქციელს ილია ნაკაშიძის, ალ. ყანჩელის, ჩემი და სხვათა გვარების სენსაციის მიზნით მოხსენებისათვის, მაგრამ წერილის ბოლოს ისე ავად მიხსენიებს იმ საშწუხარო შემთხვევის გამო, რომელიც მოხდა ქართულ თეატრში კვირასაღამოს, რომ მე გაჩუმება არ შემიძლია.

ის კარგად მიცნობს, თურმე, როგორც აღიარებს ამას თავის წერილში, თანაც ნებას აძლევს თავის თავს ამისთანა სიტყვების დაწერისას:

„იგი (ე. ი. მე) **ტრაბახობს** თავის საქციელით, **მედიდურად** აცხადებს პართენ გოთუას ვცემეო“.

ნუ თუ ავტორს გაგება ვერ მოუხერხებია იმისა, რაც დაბეჭდილია?

ნუ·თუ მან, ისიც ვერ ამოიკითხა, რომ მე ბოდიში მოვიხადე იქვე ინციდენტის შემდეგ ყველა დამსწრესა, არტისტებისა და გამგეობის წინაშე უნებლიედ მწუხარების მიყენებისათვის.

ეგევე ბოდიში მე ორჯერ განვიმეორე გაზეთის ფურცლებზე.

ეს არის ტრაბახობა?.. ან რომელი გონიერი და სინდისიერი ადამიანი დაიწყებს მედიდურ ლაპარაკს ამგვარ საქციელზე?..

რასაკვირველია, მას, როგორც ბეჭდვითი სიტყვის მსახურს უნდა დაეგმო ამგვარი ამბავი.

მაგრამ, მას, როგორც იმავე მწერლობის წარმომადგენელს ნუ თუ არ მოუვიდა აზრად—ეუწყებინა მკითხველებისათვის, თუ რამ მიმიყვანა ამ ზომამდე?

ამას უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა. მაგრამ ეს მხარე სულ დაივიწყა „დროების“ მეთაურის ავტორმა*)

მას ჰგონია, რომ გოთუას არაფერი იმისთანა არა ჩაუდენია რა, რომელსაც შეეძლო ჩემი და სხვების უზომოდ აღელვება.

გოთუას, რომ პირდაპირ ბრალი დაედო ჩემთვის, მე თავის დღეში ისე არ აღელდებოდი, რადგანაც ამ ბრალდებას მე ადვილად ავიცილებდი.

გოთუას საქციელის სისაზიზღრე იმაში მდგომარეობს, რომ მან ერთსა და იმავ დროს ბრალიც დაგვდო და არც დაგვდო, ეჭვი შეატანინა ჩვენს პატიოსნებაზე მკითხველს.

აი რა არის ასაღელვებელი.

მას მოსთხოვეს ყოველ ამის უარყოფა და ბოდიშის მოხდა.

ყოველი სამართლიანი კაცი, რომელიც უნებლიედ აწყენინებს ადამიანს, მოვალედ სთვლის თავს მის წინაშე ბოდიში მოიხადოს. ეს არც დამამცირებელია ადამიანის ღირსებისათვის, არც მის პიროვნების შელახვა.

პირიქით ეს გმირობაა. ამ იმედით მე გავუგზავნე პართენ გოთუას განსაკუთრებული მოვალეობით აღჭურვილი შუა-კაცი ნ. ქ—შვილი, მაგრამ მან ბოდიშის მოხდა უარ-ჰყო.

თუ ახლა მან შესძლო შეურაცხყოფის შემდეგ, რომელმაც მე უფრო უსიამოვნება მომაყენა, ვიდრე მას, ათასი ბოდიშისა და მწუხარების გამოთქმა, რატომ მაშინ არ იკადრა ეს?..

ან თეატრში შეხვედრის დროს ნუ თუ მას არ შეეძლო სალამი მოეცა ჩემთვის და პირდაპირ ეთქვა, რა გაჯავრებს, აი ასე დაგაკმაყოფილებსო. მაგრამ მან არც სალამი მომცა და პირიქით მედიდურად გამიარა წინ.

აი, რამ ამაღელვა და უსიამოვნო ინციდენტი ჩამადენინა.

ინციდენტის შემდეგ მან მომმართა სიტყვებით:

„გიგო რა დაგემართაო“.

ამ სიტყვებმა ხომ გული მომიკლეს. რა სჯოდა მას, რომ პირველ შეხვედრისთანავე ესევე ეთქვა.

მაგრამ მან არ მოისურვა ეს.

მე ვიყავ ძალიან აღელვებული და მხოლოდ ამით-აიხსნება ყოველივე ეს.

ირაკლი რამიშვილს რომ არ დავეჭირე, შეიძლება უფრო დიდი უსიამოვნება მომხდარიყო.

ამდენი ხანია ვცხოვრობ ჩირქ-მოუცხებელი და ახლა, როდესაც ხანში შევედი, ამისთანა ამბავი დამმართეს.

ეხლა, რომ ინციდენტის გამო ავად მიხსენიებთ, რატომ ადრე არ გამოგვესარჩლეთ, ვისაც გვიცნობდით პრესსის პატიოსან და უანგარო მუშაკებად.

აბა წაიკითხეთ, სატახტო რუსული გაზეთები, სადაც ურირს სახელებთან ერთად ჩვენი სახელებიცაა მოხსენებული. ნუ თუ ჩვენი სახელების ტალახში გასვრა, თქვენი შეურაცხყოფა არ არის?..

დასასრულ თქვენ რჩევას იძლევით—რუსული პრესსის ატმოსფერა მოწამლულია, შენ და ნაკაშიძე ჩამოშორდითო.

რჩევა ცოტა ნაგვიანევია. 30 იანვარს, როდესაც რედაქციაში მე **პირველად** შევიტყვე ლევ. ყიფიანის, ნაგურსკის და მირზოევის ხელშეკრულობის ამბავი, **რომელსაც ისინი აქამდის მალავდნენ**, მე გადავწყვიტე ჩამოვშორებულიყავი ყოველდღიურ რუსულ გაზეთებს, რადგანაც იქ ადგილი არ უნდა მქონდეს მეთქი.

მხოლოდ ეს ახლავე არ შეიძლება, სანამ არ გამოაშკარავდება სისაზიზღრე სრულიად და გასვრილი პირები არ დაიგმებიან.

ერთი შენიშვნაც, თქვენ იხსენიებთ, თითქოს „ზაკავკაზიე“ ჩემი გაზეთი იყოს. სცდებით, ამ გაზეთს ჰყავს თავის პატრონი და ხელმძღვანელი. მე ვარ თანამშრომელი, რომელიც ბევრ რამეს ხშირად არ თანაუგრძნობს, რომელიც იქ ისტამბება.

ასე და ამგვარად! უბედური შემთხვევა უზომო აღელვების შედეგი იყო.

და მე ჩემდა სავალალოდ ის დამემართა, რაც დიდებულ აკაკის ლექსად აქვს გამოთქმული „თამარ ცბიერში“:

„უცები არის და გონ-მიხდილი, კაცი უზომოდ აღელვებული!“

**გრიგოლ დიასამიძე.**

P. S. ის გაზეთები, რომელნიც გადასტამბავენ თქვენს წერილს, ვგონებ, მოვალეც ჩასთვლიან თავის თავს ეს ჩემი წერილიც **სრულად** გადაბეჭდონ. **გ. დ.**

---

*) იმავე მეთაურში, რომელსაც ბ-ნი დიასამიძე ეხება, დაბეჭდილია შემდეგი: ის მასალა, რომელიც ბ-ნ გოთუას ჰქონდა ხელში, პირდაპირ და უტყუარად ამტკიცებდა, ვინ არის დამნაშავე და ვისი გაკვრაა საჭირო სამარცხვინო ბოძზე. იმ დოკუმენტებში რომ არ ყოფილიყო ნახსენები ორი გვარი დამნაშავე ჟურნალისტისა, მაშინ კიდევ შეიძლებოდა „ეჟენედ. ობოზრ.“-ის ყველა თანამშრომლის გამოჭიმვა სამრცხვინო ხაზზე. მაგრამ როცა მასალა პირდაპირ ასახელებდა პირებს, რაღა საჭირო იყო სრულიად უდანაშაულო პირთა გაზვევა სკანდალში? ბ-ნმა პ. ა. გოთუამ მშვენიერად იცოდა, რომ, მაგალითად, ილია ნაკაშიძე, გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩელი და ორიოდე სხვაც ეჭვს გარეშე უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც. ისიც ესმოდა, რა მძიმე ბრალდებას ამეჟავენებდა და როგორი ხიფრთხილე ჰმართებდა მაგრამ იმ თავისებურმა აგანტიურიზმმა წაძლია, რომელიც წინადაც აღვნიშნავს გოთუას რუსულ გაზეთების მესახებ. მას იმდენად სიმართლე არ აინტერესებს, რამდენადაც სენსაცია, სკანდალი, ოღონდ სენსაცია იყოს დიდი და თავზარდამცემი და იგი არავის და არაფერს არ მოერიდება. ასეთ სენსაციისთვის არ მოერიდა ბ-ნი გოთუა სხვის სახელსა და ღირსებას და სრულიად დაუმსახურებლად ჩრდილი ილმოეფინა უდანაშაულოთ.

---

მუშავემ გაზეთებში, თანხმობა განვაცხადე, მით უმეტეს, რომ შემპირდა ჰონორარს მიიღებო. რაც შეეხება იმ დავიდარაბას, რომელიც ეხლა გაზ. „ეჟენ. ობოზრ“ გარშემოა ატეხილი, ვაცხადებ, რომ მე სრულიად არაფერი ვიცოდი და ეხლაც ვიცით მხოლოდ ის, რაც გაზეთში დაიბეჭდა. **ალექსანდრე სალარიძე.**

---

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-3 №-ში (იხილეთ კორესპონდენცია ხონიდან) დაბეჭდილია, ვითომ მე წ.-კ. ს. სახელით ხონში უნდა ვხსნიდე მსწრაფ-მბეჭდავ სტამბას. ვაუწყებ პატივცემულ გაზეთ „დროების“ მკითხველებს, რომ მე არავითარი სტამბის გახსნის თაობა არ მიკისრია და აგრეთვე არც წ.-კ. ს. განყოფილებას არ უდვია თავზე კორესპონდენციაში აღნიშნულ მსწრაფ-მბეჭდავ სტამბის გახსნა. მხოლოდ მოგახსენებთ შემდეგს: რომ ვინმე ითავებდეს და გახსნიდეს ხონში ასეთ სტამბას, კარგი იქნებოდა. **ივანე შარაშიძე.**

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა ვუძღვნათ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით გორდის (სენაკის მაზრა) ორ-კლასიან სკოლის მასწავლებლებმა ამ სოფლის მცხოვრებს, ნიკო დავითის ძე ბ. გელენიძეს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩვენს სკოლას 8 მ. 50 კ. ჟურნალ „ნივის“ გამოსაწერად.

სკოლის ზედამხედველი
**სიმონ მჭედლიძე.**

---

მივიღე მეტეხის ციხის წიგნთსაცავისათვის 60 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი კოწია თავართქილაძისაგან: 1 ცალი ქართ. წიგნი—ავალიშვილისაგან; 4 ცალი პატარა წიგნაკი—ხეჩუაშვილისაგან; 4 ცალი ქართ. წ.—ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან; აგრეთვე ორი წიგნაკი იმავე საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგესაგან იმ ორ აბაზში, რომელიც იყო დატოვებული ვინმე უცნობისაგან. უღრმეს მადლობას უცხადებ ზემოხსენებულ პირთ და დაწესებულებებს.

მეტეხის ციხის ეკკლესიის მღვდელი
**მიხეილ დევიძე.**

---

უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ თქვენი გაზეთის უმახლობელეს ნომერში.

შარშან ზაფხულს პატივცემულმა დავით ვასილის ძე გლუშაკოვმა შემოსწირა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ხონის განყოფილებას 100 მან. იმავე ზაფხულს ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა, ბ-ნმა ს. ავალიანმა ხონში წაიკითხა ლექცია ქართულ მწერლობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში და წმინდა შემოსავალი 31 მ. 95 კ. სრულიად შემოსწირა იმავე საზოგადოების განყოფილებას. ამის გამო გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის აღნიშნულ პირთ. დაგვიანებისათვის ბოდიშს ვიხდით.

განყოფილების თავმჯდომარე
**ა. ჭიჭინაძე.**

---

პატივცემულო რედაქტორო! რადგან გაზ. „ზაკავკაზიე“-ს მე-26 ნომერში გაზ. „ეჟენედ. ობოზრ.“ ოფიციალურ გამომცემლის ჰუსეინ მინასაზოვის ცნობა დაიბეჭდა, რომელშიაც ჩამოთვლილია გვარები იმ თანამშრომლებისა, რომელნიც ჰონორარს იღებდნენ გაზ. „ეჟენედ. ობოზრ.“ რედაქციიდან და რადგანაც ამათ შორის მეცა ვარ მოხსენებული, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ შემდეგ განმარტებისა: გაზ. „ეჟენედ. ობოზრ.“ ოფიციალურმა გამომცემელმა ბ-ნმა მინასაზოვმა წინადადება მომცა, მეკისრა ამ გაზეთის ქრონიკის შედგენა, რაზედაც მე, როგორც პროფესიონალმა მო-

# კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

## თებერვალი 28 დღე

ახალი სტილით 19 — 6 — მთვარე 9 დღისაა

37 დღე წლის თავიდან. რჩება 328 დღე

## შაბათი

**მართლმ.** † ღ. ვუკოლ ზმირინელ ეპ. და ქალწ. მოწ. მართასი და მარიამისა.

**კათოლ.** წმ. ქალწ. მოწ. დოროტესი.

**გრიგორ.** წმ. შვილთა გრიგოლ განმანათლებელისა და სხვა.

**მაჰმად.** შამბე 8 რ. საფარისა 1328 წ. ჰირჯისა.

**ებრაელთა** შაბათ 10 პერ. ადარისა 5670 წ. ქვეყნ. შექმნ.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ზუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—49)

**გაზ.-„დროების“ კანტორა** აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელის მომწერმა კანტორას უნდა აცნობოს ხოლმე, რათა შემდეგისთვის ყურადღება მიექციოს გაზეთების წესიერად მიღებას.

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

**ძმ. ავსარქისოვების ბაღი**
ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра. (З. К. Ж. Д.). Авсаркисову. მსურველებს კატალოგებს უფასოდ ეგზავნება. (15—1024—3)

**იყიდება** ავლაბარში 200 ოთხკ. საყ. მიწა. პირობების გაგება შეიძლება „ხინათლის“ სტამბაში, რუსის ქუჩა, N 3.

სამეურნეო ჟურნალი
**მოსავალი**
**წელიწადი მეორე**
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეებს საუკეთესო თესლის გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

„დროების“ რედაქციაში
**მიიღება ხელის მოწერა**
Bâton-ის წიგნზედ
**„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოც. მხრით“.**
**შინაარსი წიგნისა:**
**წინასიტყვაობა:** „ეროვნული საკითხი“ და სოციალიზმი.
**თავი პირველი:** რა არის საზოგადოება?
**თავი მეორე:** არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?
**თავი მესამე:** ერი და საზოგადოება.
**თავი მეოთხე:** საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეხუთე:** ხალხი, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეექვსე:** ერი.
**თავი მეშვიდე:** საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა.
**თავი მერვე:** სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
**თავი მეცხრე:** ერის უფლება.
**თავი მეათე:** შედარებითი ღირსება ერთა.
**თავი მეთერთმეტე:** „ფონდი“ კაცობრიობისა, შესაძლებელი მომავალ
**თავი მეთორმეტე:** განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კონკრეტული საზოგადოებანი.
**თავი მეცამეტე:** ერის თეორიები.
**თავი მეთოთხმეტე:** ქართველი ერი.
**თავი მეთხუთმეტე:** დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.
ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურთან, **ოდესაში**—არჩ. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ჟღენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმერეთი“ ის. კვაცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების“ კანტორაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ავალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.
ხელის მოწერა მიიღება 1 **თებერვლამდე** (უკანასკნელი ვადა)
აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწე
წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი**. გასაყიდად ექვსი აბაზი.
(4—300—4) გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**


**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასად ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**
ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით—„ხეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. საშუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი შემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.
Парижъ 7 S. Strumfeld
PARIS B-ard St. Marcel 76
**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კოხტა ძეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ.
(Метцль и К°. N 247). (8—6.—8)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.